სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 148

ქ. ლანჩხუთი *25 მაისი 2023 წელი*

ერთის მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის ალექსანდრე სარიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდ/მეწარმე „ქრისტინე სალუქვაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ქრისტინე სალუქვაძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.7 ,,მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

*2.1 სპეციალური ტანსაცმელი (**CPV** 18410000)*

2.2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის (ზედამხედველობის სამსახურისათვის) სპეც. ტანსაცმლის შეძენა დანართი N1 -ის შესაბამისად.

საფუძველი: *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი.*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3378 (სამი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარს.

3.2ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37.

6.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი" უფლემაგოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს დასკვნით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.	*ინდ/მეწარმე „ქრისტინე სალუქვაძე“*
ს/კ: 233730139	*ს/კ: 61004043618*
ა/ა: GE24NB0330100200165022	*ა/ა: GE29LB0112194695701000*
„სახელმწიფო ხაზინა“	*სს ლიბერთი ბანკი*
ბ/კ: TRESGE22	*ბ/კ: LBRTGE22*
მის: ქ. ლანჩხუთი	*მის: ქ. ქობულეთი სოფ.ლელვა*
კოსტავას ქ. №37	*ელ-ფოსტა: gristine.salukvadze@bk.ru*
	T – 595177016

მუნიციპალიტეტის

მერი: /ალექსანდრე სარიშვილი/; ი/მ: /ქ.სალუქვაძე/

Kristine Salukvadze 61004043618

Digitally signed by Kristine Salukvadze
Date: 2023.05.25 13:16:34

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	მისაწოდებელი საქონლის ზომა	რაოდენობა	ერთეული ს ფასი (ლარი)	საერთო ღირებულებ ა (ლარი)
1	**კეპი**	ბოჭკოვანი შემადგენლობა არანაკლებ 35% ბამბა 65% პოლიესტერი (დასაშვები გადახრა + - 5%-მდე რომელიმე კომპონენტში). წონა არანაკლებ 200გრ/1მ2 + - 10გრ; წინაფრიანი, კლასიკური სტილი. წინა ფრა,ზომიერად მკვრივი, დრეკადი, ელასტიური, პლასტიკური მასა, სისქე 1-1,5მმ ფარგლებში ქსოვილით დაფარული. საშუბლე ნაწილზე მუნიციპალიტეტის ლოგო. ბეჭდვა ზომით 7X5 (შემსყიდველთან შეთანხმებით) . ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ტრანსფერის მეთოდით - ლაზერული ან/და სოლვეტური საღებავის გამოყენებით ლოგოზე არსებული ფერების სრული დაცვით. კეპს უნდა ჰქონდეს ზომის დასარეგულირებელი უჟანგავი მეტალის შესაკრავი. ქუდის ქსოვილი უნდა იყოს შეღებილი მზის ზემოქმედების მიმართ მედეგი, აქტიური საღებავით, რათა ქუდი არ გახუნდეს -	სტანდარტული შეთანხმდეს შემსყიდველთან	6	70	420
2	**ჟილეტი**	ჟილეტი - მუქი ლურჯი ფერის, გარე ქსოვილი -ნეილონი ან პოლიესტერი 100%, წონა არანაკლებ 120გრ/მ2, ლურჯი; სარჩული უნდა იყოს პოლარი (პოლიესტერი 100%) წონა არანაკლებ 100გრ/მ2, საშუალო სიგრძის, ჟილეტი იკვრება ცენტრალური ელვა შესაკრავით . ჟილეტის წინა მარცხენა მხარეს მუნიციპალიტეტის ლოგო .წინა მარჯვენა მხარეს და ზურგზე სამსახურის დასახელება. წარწერები უნდა იყოს მკაფიოდ შესრულებული ნაქარგი.	XL-XXL- ზომები შეთანხმდეს შემსყიდველთან	6	185	1110
3	**პოლოს ტიპის მაისური**	პოლოს ტიპის მაისური - მასალა 100% (±5%) ბამბა. გადაკეცილი საყელოთი და ორ ღილზე შესაკრავით, სწორი სილუეტის, მოკლე მკლავით, მკლავების დაბოლოება მანჯეტით. ფერი - ლურჯი. წინა მარცხენა მხარეს მუნიციპალიტეტის ლოგო .წინა მარჯვენა მხარეს სამსახურის დასახელება. წარწერები უნდა იყოს მკაფიოდ შესრულებული ნაქარგით	L -XL- XXL ზომები შეთანხმდეს შემსყიდველთან	12	154	1848
4		**ჯამი**				**3378**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მონაწილე მიმწოდებელთან.